2022-2024 სასწავლო წლის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის გზამკვლევი

2022

ქ. გორი

სარჩევი

1. სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვა

1.1 სამაგისტრო პროგრამის ზოგადი აღწერილობა

1.2 სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები

1.3 სამაგისტრო პროგრამის მიზანი

1.4 სამაგისტრო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

2. სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვის/ამორიცხვის წინაპირობა

2.1 შესარჩევი კანდიდატები

2.2 სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვა

2.2.1 სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვის ეტაპები

2.3 სამაგისტრო პროგრამიდან ამორიცხვა

3. შეფასების სისტემა

4. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები

5. დასაქმების სფერო

1. სამაგისტრო პროგრამის მიმოხილვა

1.1. სამაგისტრო პროგრამის ზოგადი აღწერილობა:

- სამაგისტრო პროგრამის დასახელება: **თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა;**
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **თავდაცვის ანალიზის მაგისტრი;**
- სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით: **120 ECTS კრედიტი.**
- სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა: **2 წელი - 4 სემესტრი.** I, II, და III სემესტრში **ნახევრად რეზიდენტული - საჯარო მოხელეებზე მორგებული ჰიბრიდული სწავლების რეჟიმი** (სწავლება მიმდინარეობს, როგორც როგორც საუდიტორიო რეჟიმში, ასევე დისტანციურად ონლაინ-სწავლების რეჟიმში), IV სემესტრში - არარეზიდენტული (დაუსწრებელი).

1.2. სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები:

1.2.1 სავალდებულო სასწავლო კურსები:

1. ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა
2. სახელმწიფო უსაფრთხოება
3. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები
4. აკადემიური წერა
5. სტრატეგიის კურსი
6. ჰიბრიდული ომი
7. დაზვერვა და ინფორმაციის ანალიზი
8. საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა
9. ა.შ.შ.-ს საგარეო პოლიტიკა
10. რუსეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება
11. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება
12. კვლევის მეთოდები და დიზაინი

1.2.2 არჩევითი სასწავლო კურსები:

1. კონფლიქტის ფსიქოლოგია
2. საერთ. კონფ. და „არშემდგარი სახელმწიფოები“
3. საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი
4. სამშვიდობო პროცესების საფუძვლები
5. ტერორიზმი
6. ეკონომიკური უსაფრთხოება
7. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
8. მენეჯმენტის (მართვის) ფსიქოლოგია
9. მცირე ქვეყნების როლი საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში
10. ცივი ომი
11. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა
12. ევროპის უსაფრთხოება
13. რეგიონალური უსაფრთხოება

1.3. **სამაგისტრო პროგრამის მიზანი**

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო **პროგრამის მიზანს** წარმოადგენს:

- თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენებით, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები (ოფიცრები, მკვლევრები, ანალიტიკოსები, უსაფრთხოების სპეციალისტები და ა.შ.) თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორისთვის, რომლებიც ფლობენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების სიღმისეულ ცოდნას, არსებული გამოწვევების კვლევისა და ანალიზის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს.
- სამაგისტრო პროგრამა იძლევა საფუძვლიან ცოდნას ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნისა და წარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების, სახელმწიფოს მართვის სისტემაში უსაფრთხოების სისტემის როლისა და არქიტექტურის, ფუნდამენტური დოკუმენტების, უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ.

1.4. სამაგისტრო პროგრამაზე დასწრების მეთოდი

1.4.1. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას პირველი სამი სემესტრის განმავლობაში პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს **ჰიბრიდული სწავლების (როგორც დასწრებული/სააუდიტორიო ასევე დისტანციური) მეთოდით, რომელიც წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეებზე სპეციალურად მორგებულ სწავლების რეჟიმს.**

1.4.2. **პირველი სამი სემესტრის** განმავლობაში სალექციო პროცესი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- **ძირითადი სასწავლო კურსები** (დღეში 2 ლექცია) ტარდება პარასკევს და შაბათს მაგისტრატურაში სააუდიტორიო სალექციო რეჟიმში. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ ლექციებს დისტანციური სწავლების ფორმატში. სალექციო საათები განისაზღვრება სასწავლო ჯგუფებთან შეთანხმების საფუძველზე
- **არჩევითი სასწავლო კურსები** ტარდება ორშაბათსა და სამშაბათს, სამუშაო დღის დასრულების შემდგომ საღამოს საათებში - 19:00 საათის შემდეგ დისტანციურად ონლაინ ფორმატში.

1.4.3. **მეოთხე სემესტრში** მაგისტრანტები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობენ დაუსწრებელ რეჟიმში. სემესტრის მიმდინარეობისას აქვთ მჭიდრო კომუნიკაცია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და თანახელმძღვანელებთან, როგორც დისტანციურ ასევე ასევე სააუდიტორიო რეჟიმში (მაგისტრანტის საჭიროების მიხედვით). კვლევაზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტები აქტიურად იყენებენ მაგისტრატურის ბიბლიოთეკას, ელექტრონულ წვდომას სამეცნიერო ბაზებსა და ონლაინ ბიბლიოთეკებზე და ეროვნული თავდაცვის აკადემიის სხვა სტუდენტურ სერვისებს.

2. სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვის/ამორიცხვის წინაპირობა

2.1 შესარჩევი კანდიდატები

- პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- **თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცერთა და სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირადი შემადგენლობა;**
- **პროგრამაზე ასევე დაიშვებიან უსაფრთხოების სექტორის და სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედი თანამშრომლები.**

2.2 სამაგისტრო პროგრამაში ჩარიცხვა

2.2.1 სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატებმა:

- უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდა (**მაგისტრანტობის კანდიდატები ერთიანი ეროვნული გამოცდების საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.gov.ge; online.naec.ge).** რეგისტრაციის ვადები (2022 წლის 1 მარტი - 4 აპრილი), გამოცდების თარიღები და სხვა ინსტრუქციები იქნება განთავსებული იგივე ვებგვერდზე).
- უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ გვერდზე შიდა გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე);
- უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 (სტანაგის თაობაზე ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტრს ინტერნეტ გვერდზე - https://mod.gov.ge/ge/page/116/stanag-6001 ან თავდაცვის სამინისტრს შიდა პორტალზე - pd - mil.ge/english-text) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CCC, CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ სწავლის მსურველი, აკადემიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულია, უნდა წარმოადგინოს ცნობა, აკადემიაში ინგლისური ენის სასწავლო კურსის (B2 დონეზე) წარმატებით დასრულების შესახებ.

სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2.2 სამაგისტრო პროგრამის კვოტები

ა) სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა არის 30.

ბ) თუკი სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო/სამოქალაქო მოსამსახურე.

გ) რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე).

2.3 სამაგისტრო პროგრამიდან ამორიცხვა

სამაგისტრო პროგრამის კურსის დასკვნითი გამოცდის უარყოფითი შედეგით დასრულების, ასევე პროგრამის კურსის საბოლოო შეფასების უარყოფითი შედეგი „FX"-ით (ვერ ჩაბარება) დასრულების შემთხვევაში, იუნკერი გადის დამატებით გამოცდაზე შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო კომპონენტის პირველი შეფასებისა. კურსის საბოლოო შეფასების და/ან დამატებით გამოცდაზე კვლავ „FX"-ის (ვერ ჩაბარება) მიღების შემთხვევაში, იუნკერის საკითხი პროგრამიდან ამორიცხვის თაობაზე გადაეცემა აკადემიის აკადემიურ საბჭოს.

იუნკერი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში მიიღებს უარყოფითი შედეგს „FX" (ვერ ჩაბარება), დაიშვება დამატებით დაცვაზე; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში უარყოფითი შედეგის „F" (ჩაიჭრა) და/ან დამატებით გამოცდაზე კვლავ „FX"-ის (ვერ ჩაბარება) მიღების შემთხვევაში, იუნკერის საკითხი პროგრამიდან ამორიცხვის თაობაზე გადაეცემა აკადემიის აკადემიურ საბჭოს.

იუნკერის მიერ სამეთაურო-საშტაბო პროგრამის საკონტაქტო საათების 5% და მეტის გაცდენი შემთხვევაში, სასწავლო პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭო.

3. შეფასების სისტემა

სამაგისტრო პროგრამის იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის" შესაბამისად

იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის (სამაგისტრო ნაშრომის) დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო წოდების ოფიცრები სამეთაურო-საშტაბო პროგრამაზე სწავლისას ფასდებიან სამაგისტრო პროგრამით დადგენილი შეფასების სისტემის მიხედვით.

სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91-100 - A (ფრიადი);
- მაქსიმალური შეფასების 81-90 - B (ძალიან კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 71-80 - C (კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 61-70 - D (დამაკმაყოფილებელი);

– მაქსიმალური შეფასების 51-60 - E (საკმარისი).

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

– მაქსიმალური შეფასების 41-50 - FX (ვერ ჩააბარა);
– მაქსიმალური შეფასების 0-40 - F (ჩაიჭრა).

იუნკერთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის თითოეულ კურსში საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. პროგრამის თითოეულ კურსის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია შუალედური შეფასების საერთო წილის 51%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 51%. კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

პროგრამის თითოეულ კურსში დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 51%-ის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

გამოცდის ან დავალებების (წერითი ნამუშევარი, პრეზენტაცია და სხვა) შემოწმებისას შესაბამისი წესით დადასტურებული პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევა, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას გადაწერის მცდელობის, კარნახისა ან გამოცდისათვის ხელის შეშლისათვის, პირის გამოცდიდან მოხსნა, ფიქსირდება, როგორც უარყოფითი შედეგი, გამოცდის ან დავალებისათვის განსაზღვრული ქულა განულდება და შეფასება დაფიქსირდება „0“. იუნკერები მიიღებენ დამატებით ინფორმაციას სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ მაგისტრატურაში არსებულ რეგულაციებთან დაკავშრებით, რომელიც არეგულირებს პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებს.

გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, აღდგენა შესაძლებელია გამოცდიდან არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო შეფასების ჩატარებისა.

სამაგისტრო ნაშრომი მუშაობისა და დაცვისათვის იუნკერს უნდა ჰქონდეს მიღებული საკმარისი კრედიტები სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით სამაგისტრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში. საჯარო დაცვაზე დაშვების პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

(* - პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევაზე რეაგირების არსებული წესი შესაძლებელია შეიცვალოს (გამკაცრდეს) სასწავლო წლის დაწყებამდე აკადემიაში შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად).

4. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულის შესაძლებლობები

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები:

- აღწერს, ღრმად და სისტემურად ფლობს და იაზრებს უსაფრთხოების კვლევის კონცეფციებსა და თეორიებს;
- აცნობიერებს და იაზრებს თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების გარემოს, მის თავისებურებებს, განვითარების პერსპექტივებს, ძირითად ტენდენციებსა და გამოწვევებს;
- კრიტიკულად იაზრებს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებსა და კონცეფციებს, ადგენს მათ შორის ურთიერთკავშირს.
- აანალიზებს თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკას, მის დაგეგმვაში იღებს აქტიურ მონაწილეობას და დამოუკიდებლად ატარებს კვლევას ამ მიმართულებით;
- აფასებს თანამედროვე ცვალებად უსაფრთხოების გარემოს, უზრუნველყოფს დასახული ამოცანების განხორციელებას ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენებით;
- აანალიზებს სწრაფად ცვალებად გარემოში არასრული ინფორმაციული სურათის პირობებს, იღებს კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორ და ლოგიკურად არგუმენტირებულ გადაწყვეტილებებს;
- არგუმენტირებულად განიხილავს, აფასებს და სიღრმისეულად აანალიზებს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების ძირითად პრინციპებს;
- ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობის განვითარებას ეროვნული უსაფრთხოების სფეროში რეკომენდაციებითა და ინიციატივებით;
- გამოიმუშავებს ქმედითი, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარს.
- მიღებული ცოდნის საფუძველზე თანმიმდევრულად წარმართავს სწავლის პროცესს და დამოუკიდებლად განსაზღვრავს მის შემდგომ სასწავლო მოთხოვნებს;
- იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად.

5. დასაქმების სფერო

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დამკვეთია საქართველოს თავდაცვის ძალაები და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, უსაფრთხოების სექტორში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სამთავრობო უწყებებსა და ორგანიზაციებში კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციებზე, რომლებსაც სჭირდებათ ექსპერტული ცოდნა უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებთან და თავდაცვის მიმართულებებთან დაკავშირებით. თავდაცვის სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: კვლევით და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების

განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

საკონტაქტო პირები:

მაგისტრატურის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ჯაფარიძე
ელ ფოსტა: ijaparidze@mod.gov.ge,
ტელ: 591 121717

უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების ხელმძღვანელი
პროფესორი ზურაბ აგლაძე
ტელ: +995 595 05 04 01
ელ. ფოსტა - agladzezurab@gmail.com